პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 ხუთშაბათი 29 იანვარი № 24 (16454) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ზუთწლედი — თვითეული ჩვენგანის საქმე!

სკკპ XXV ყრილობის

შეჯიბრების მასობრივობა ხუთწლედის წარმატებით შესრულების საწინდარია

შესანიშნავად

აზერბაიჯანის კომპარტიის XXIX ყრილობა

ბაკო, 28 იანვარი (საკადისი). დღეს, 27 იანვარს, ბაკოში აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის XXIX ყრილობამ იმუშავა. ყრილობის დელეგატებმა, რომელიც წარმოადგენენ რესპუბლიკის კომუნისტთა 268-ათასიან ინტერნაციონალურ რაზმს, საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დამტკიცდა ყრილობის დღის წესრიგი: აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებანი, მოხსენება — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი", რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა და სკკპ XXV ყრილობის დელეგატების არჩევნები.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. ალიევმა.

შემდეგ მოისმინეს აზერბაიჯანის კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

ტაჯიკეთის კომპარტიის XVIII ყრილობა

დუშანბე, 27 იანვარი. (საკადისი). ტაჯიკ მშრომელთა მიწყევების დამადასტურებელი ბევრი ციფრი მოიყვანეს დღეს რესპუბლიკის კომპარტიის XVIII ყრილობაზე, რომელიც აქ გაიხსნა.

ყრილობა განიხილავს ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და სარევიზიო კომისიის მოხსენებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს პარტიის XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებს", აირჩევს ტაჯიკეთის კომპარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს და სკკპ XXV ყრილობის დელეგატებს.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. რასულოვმა.

მოისმინეს აგრეთვე ტაჯიკეთის კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

ვიეტნამი დამთავრდა

28 იანვარს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ს. ოლშოვსკიმ საუზმე გაუმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს. საუზმის დროს მათ წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები.

იმავე დღეს ს. ოლშოვსკი სამშობლოში გაემგზავრა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვაგზალზე იგი გააცილეს ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ზ. ნოვაკი. (საკადისი).

ახალი ჩარხები

ლენინაკანი, ახალი ჩარხების სერიული გამოშვება დაიწყეს ქარხანა „მშენმანქანაში". აგრეგატები გათვალისწინებულია გრანატისა და მარმარილოს ერთდროული ხეხვისა და გაპრიალებისათვის. შრომის ნაყოფიერება სამჯერ იზრდება.

პირველ აგრეგატებს ამზადებენ ყაზახეთისა და საქართველოში გასაგზავნად.

ლენინაკანის ქარხანა ქვისდამუშავებელი მოწყობილობის ძირითადი მიმწოდებელია ქვეყანაში. (საკადისი კორ.).

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ეათე ხუთწლედის პირველი თვე თითქმის მიიწურა. იგი დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში დაიწყო. იმისათვის, რომ კიდევ უფრო გადიდდეს წარმოების ეფექტიანობა და ამაღლდეს მუშაობის ხარისხი, წარმატებით შესრულდეს 1976 წლის სახალხო სამეურნეო გეგმა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე აქტიურად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. სოციალისტური შრომის ეს ნაცადი მეთოდი კიდევ უფრო მაორგანიზებელი, შრომითი აღმავლობისათვის მასების დამრაზმავი ძალა გახდა წლეულს — კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის მზადების დღეებში. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, — შეჯიბრების ფორმებიც, შინაარსიც ახლა მრავალმხრივ ახალია; ისინი შეესაბამება ქვეყნის განვითარების დონეს, ჩვენი მოძავლის მოთხოვნებს. შეჯიბრების მონაწილეთა დევიზი ახლა ის არის, რომ არა მარტო გაიკეთონ მეტი, არამედ უფრო უკეთ, მომჯირნედ.

სწორედ ამიტომ არის სოციალისტური შეჯიბრება ყველა ხიანლის, ინიციატივის, თაოსნობის უწრეტი სათავე. აბა გავიხსენოთ წლეულს — მეათე ხუთწლედის პირველ თვეში რამდენი უნიშვნელოვანესი ინიციატივა წამოიწყეს მოწინავე საწარმოებმა, ბრიგადებმა, ცალკეულმა მუშებმა, კოლექტივებმა. „ხარისხის ხუთწლედს — მუშური გარანტია", „თვითეულის მუშაობის მაღალი ხარისხიდან კოლექტივის შრომის მაღალი ეფექტიანობისაკენ", „მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მიერ ეკონომიის პირადი ანგარიშების გახსნა", „მხოლოდ უმაღლესი შრომის ნაყოფიერება", „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა რეზერვის მაქსიმალური გამოყენება" და სხვა.

ყველა ეს სიახლე, ინიციატივა, თაოსნობა მიმართულია დიდი საერთო მიზნისაკენ, მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანის შესრულებისაკენ — რომ **აპამაღლოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.** ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მივაღწევთ საზოგადოებრივი წარმოების დინამიკურ და პროპორციულ განვითარებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებას.

ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სახბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1976 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ".

ეს უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური დოკუმენტია. იგი რაზმავს მშრომელებს და უჩვენებს სწორ, ნათელ გზას მეათე ხუთწლედის პირველ წელს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი მიზნების მისაღწევად. ამიტომ შეხვდნენ მთელ ჩვენს ქვეყანაში ამ დადგენილებას დიდი ინტერესით და ერთსულოვნად, მხურვალედ მოიწონეს იგი. ამ დოკუმენტში უდიდეს სადღეისო ამოცანად არის მიჩნეული **შართოდ გაიშალოს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით: აპამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი ეკონომიკის შემდგომი ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე, რომელმაც დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ჩაიარა, სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან ერთად ღრმა ანალიზი გაუკეთდა სწორედ სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას არსებული სინძლვრეთა მაქსიმალური გამოყენებისა და ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ დანერგვის ბაზაზე. ყრილობამ წინა პლანზე დაიყენა აგრეთვე პროდუქციის ხარისხის ყოველნაირად ამაღლების პრობლემა, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმმა მარტო დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა კი არა, არამედ სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობაც მიანიჭა.

აი რატომ არის უპირველეს ამოცანად დასახული **გადაპაქციოთ მეათე ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედად.**

ამ ლოზუნგის განხორციელება ყველა მშრომელის, სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგის მუშაკთა პატრიოტული საქმეა. ჩვენი რესპუბლიკის შშრომელები, სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი, ახალ ვალდებულებას ამბობენ, რომ კისრულობენ, პირობას იძლევიან მთელი შრომა, მეცადინეობა მოახმარონ პროდუქციის, სხვაშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, საწარმოო ფონდების ეკონომიურად გამოყენებას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, დადგენილი ნომენკლატურისა და ასორტიმენტის ხაგგამო დავალებათა აუცილებლად შესრულებას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების განუწყვეტელ ზრდას, სახელმწიფოსთვის მათი მიყიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას და სხვა მრავალ სადღეისო საქმეს.

ახეთი დიდმნიშვნელოვანი წინასწარდასახულობები რომ სანიმუშოდ შესრულდეს, საქართველოს კომპარტიისა, სახბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველნაირად გამოიყენონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შეძენილი გამოცდილება, უზრუნველყონ საჭირო პირობები, რათა ყველა კოლექტივმა, მუშებმა და კოლმეურნეებმა თავიდანვე მიაღწიონ შეჯიბრების ქმედითობის ამაღლებას, განამტკიცონ შრომისა და საწარმოო დისციპლინა, აღზარდონ სახბჭოთა ადამიანები შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

დიდი ყურადღებით, გულისხმიერებით, მზრუნველობით უნდა მოვეკიდოთ საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობების, სახბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მოწინავე გამოცდილებათა დანერგვას, რომლებიც დაჯილდოვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ნიშნით — „მეცხრე ხუთწლედში სანიმუშო შრომისათვის".

გვიახლოვდება სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღე. ყველგან, ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე საყოველთაო აღმავლობის სულისკვეთება სუფევს. წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში ვლინდება მშრომელთა დიდი შემართება მეათე ხუთწლედის სტარტზე. ყოველმხრივ, ყველა საშუალებები უნდა განვამტკიცოთ და განვავითაროთ იგი, X ხუთწლედის წარმატებით შესრულებას აქედანვე, პირველი დღეებიდანვე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი.

მეათე ხუთწლედი გრანდიოზული გეგმაა, რომელიც დიადმა ლენინურმა პარტიამ დაგვიხატა. და როგორც ეს საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე შეხანიშნავად იყო აღნიშნული, ჩვენი რესპუბლიკის მეათე ხუთწლედი — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედი — ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების დარგში ჩამორჩენის საბოლოოდ დაძლევისა და მოწინავე პოზიციებზე რესპუბლიკის გასვლის ხუთწლედი უნდა გახდეს. ასეთია ამოცანა!

სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტის ნაოელ გზაზე დიდი მაორგანიზებელი ძალაა, შრომითი აღმავლობის მძლავრი ბერკეტია საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება.

სულ მაღლა გვეპიროს ჩვენი ზარობანიზებული დროშა!

საკადესის ცნობა

მიფრინავს რვა თანამგზავრი

1976 წლის 28 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-791", „კოსმოს-792", „კოსმოს-793", „კოსმოს-794", „კოსმოს-795", „კოსმოს-796", „კოსმოს-797", „კოსმოს-798". რვავე თანამგზავრი ორბიტაზე გაიყვანა ერთმა მატარებელმა რაკეტამ.

თანამგზავრებზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. ნაყორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

პირველი შედეგები

ახალი ქართული ავტომობილი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ნ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან ჩამოვიდა ავტოქარხნელთა ახალი პროდუქცია — გაუმჯობესებული ტიპის ავტოგამწე „კაზ-608-ვ"-ის პირველი სერიული ნიმუში.

იგი ჩამოიყვანა მძღოლ-გამომცდელმა, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბორის ვამაკიძემ და ახალ ქართულ ავტოგამწეს დიდი შეფასება მისცა.

„კაზ-608-ვ" ავტოგამწე თავის წინამორბედებზე გაცილებით უკეთესია, კომფორტულიც არის და ხანგამძლეც და მთლიანად შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს. იგი მზად არის ხარისხის ნიშანზე წარსადგენად.

ახალი ავტოგამწეს შექმნაში დიდი შრომა გასწიეს ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის განყოფილების მუშაკებმა, ტექნოლოგებმა, ავტომანქანის შექმნაში მონაწილეობდა საწარმოს კოლექტივის თითქმის ყველა წევრი.

იკისრეს — შეასრულეს

ტყიბული. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის იმ ბრიგადამ, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატი ე. სვანიძე ხელმძღვანელობს, 21 იანვარს გაანალდა ყრილობის შესახვედრად ნაკისრი ვალდებულება. ბრიგადას იანვრის 21 დღეში ნორმით 951 ტონა ქვანახშირი უნდა ამოეღო, ფაქტიურად 1.307 ტონა სათბობი ამოიღო.

ბრიგადის წევრები თვის ბოლომდე მრეწველობას 700 ტონა სათბობს გაუგზავნიან.

დაპირება გაანადდეს

თბილისი. ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის" კოლექტივში საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები იყვნენ მკერავთა და მქსოველთა ბრიგადები, რომლებსაც ო. გიგაური და ი. დემიანენკო ხელმძღვანელობენ. ამ შრომითმა კოლექტივებმა ნაკისრი ვალდებულება გაანადდეს, 21 იანვრისათვის თვის გეგმა შეასრულეს და გეგმის გადამეტებით 2 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი და 1,5 ტონა ქსოვილი გამოუშვეს.

ფაბრიკის კოლექტივი იანვრის დავალების გადამეტებით დაამზადებს 10 ათასი მანეთის ნაწარმს. ეს რეკომენდაციას აძლევა ფაბრიკის დირექტორმა ლ. კოსტაკამ.

ახალი პროდუქცია

ზესტაფონი. ქარხანა „საქაბელის" კოლექტივმა, რომელმაც სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება, ახალი წარმატება მოიპოვა, გამოუშვა ფართო მოხმარების ახალი სახის პროდუქცია — თოკი კაპრონისაგან პლასტმასის გარსით.

წლეულს გამოვუშვებთ ხუთ მილიონ მეტრ თოკს. პირველი პარტია უკვე მზად არის მომხმარებლებისათვის გასაგზავნად. ეს რეკომენდაციას აძლიერებს ქარხნის დირექტორმა ლ. კუხიანიძემ.

ყოველი ჰექტარი — უხვმოსავლიანი!

ზინდისელებმა გადაწყვიტეს მოიპოვონ სკკპ XXV ყრილობის სახელოვნის საპატიო წოდება

ლირსული დედის, პრინციპული კომუნისტის და კეთილსინდისიერი მშრომელის სახელი დამკვიდრა ზინდისელმა მეჭარხლემ ვერა იოსების ასულმა თათრიშვილმა. როცა მეცხრე ხუთწლედში გაწეული მუშაობის შედეგები შეჯამეს, ცნობილი გახდა, რომ მან შაქრის ჭარხლის წარმოების პირადი ხუთწლიანი გეგმა სამ წელიწადში შეასრულა. ჰექტარზე განგარიშებით ხუთწლედში მილიონ 777 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად 370 ცენტნერისა.

სამაგალითო შრომისათვის თათრიშვილი 1973 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს სამკერდე ნიშნით დაჯილდოვეს. შარმან თებერვალში კი სოციალისტურ ვალდებულებანი, რომლებიც მან ყოველ ნაბიჯზე აკეთებდა, ტიტულოვანი ტიტულებში კი არ ცოცხლობს, არამედ იმ მილიონობით მკითხველის გულშიც, რომლებიც მას თვლიან ბრძენ თანამოსაუბრედაც, მოძღვრადაც, რომლის „სიტყვები და აზრები ქადაგებს სამართლიანობას, თავდადებას, პრინციპულობას. მწერლის ამაღლებული ზნეობრივი იდეალი, ადამიანურობისადმი ბრძოლის პათოსი უფლებას გვაძლევს სალტიკოვ-შჩედრინი ჩვენს დიდ თანამედროვედ მივიჩნიოთ. იგი ჩვენთან ერთად ემსახურება ახალი ადამიანის აღზრდის საქმეს, თქვა ბოლოს ორატორმა.

„სიტყვა სალტიკოვ-შჩედრინზე" წარმოთქვა საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ხ. ა. მაკაშინმა.

მე-19 საუკუნის უდიდესი სატირიკოსი მწერალი, უბრწყინვალესი თავსებურების მქონე ხელოვანი მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი რუსული კლასიკური ლიტერატურის დიდ ტრადიციებსა



დიდი ჰუმანისტი მწერალი

მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სალამო

რუსული კულტურის დიდ ოსტატთა შორის მთელი ეგზარფოს-ძე სალტიკოვ-შჩედრინს ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი უჭირავს. მთელი თავისი ცხოვრება სახელოვანმა პატრიოტმა მწერალმა მიუძღვნა მშობელ ხალხს, საყვარელ რუსეთს, რომლის ნათელი მომავალი მას სწამდა და რომელსაც აანდოვებდა მოქალაქე-ხელოვანის მგზნებარე სიტყვით. იგი დღესაც ჩვენთან არის, მის უკვდავ ქმნილებებს ცხოვლად ეხმაურება ჩვენი გული, ეს ქმნილებები გვეხმარება ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ამიტომ არის, რომ დიდი მწერლის დაბადების 150-ე წლისთავს საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს როგორც კულტურის დიდ დღესასწაულს.

მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინისადმი საზეიმო სალამო ეკავშირა საბჭოთა ხალხი, ეს ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ ცნობილი ლიტერატურული ღონისძიება

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების გამო

ამხ. ი. ჯ. უბილავას სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ფოთელმა მშრომელებმა დაძლიეს სირთულე და შეასრულეს მეცხრე ხუთწლიდის დავალებები, გეგმის გადაჭარბებით გაასალეს 12 მილიონ 600 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

ახალგაზრდა და ნიჭიერი კადრების დაწინაურებამ საშუალება მოგვცა, გაგვეუმჯობესებინა მეურნეობის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელობა, გადაჭარბებით შეგვისრულებინა ვიჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, გემების, გაგვეუმჯობესებინა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა.

ამავე დროს, პარტიის საქალაქო კომიტეტმა, ქალაქის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთბაშად ვერ გარდაქმნეს მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებული მეოთხე ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესაბამისად. ამის შესახებ ბოლშევიკური პირდაპირობითა და პრინციპულობით ილაპარაკეს კომუნისტებმა საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, აღნიშნეს, რომ ქალაქი მნიშვნელოვნად ჩამორჩა სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების პროგრამის შესრულებაში.

სოციალურ და კულტურულ განვითარებაში ჩამორჩენა ამის შედეგიც არის, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკურმა უწყებებმა ჯეროვნად ვერ შეიფასეს ქალაქ ფოთის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. საქალაქო მეურნეობის განვითარების შესახებ მთავრობის ბევრი დადგენილება ფურცონა ქაღალდად დარჩა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით ბევრი საწარმოს, განსაკუთრებით სათევზეო თევზჩირის სამმართველოს მუშაობაში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ბევრი ეგრძნობა არაკეთილი ძვრა. ყრილობის წინ ფოთში გაიხსნა საზეგაოსნო სკოლა შემდეგრებისათვის, რომელიც პირველია რესპუბლიკაში.

მაგრამ წინ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს, რომელთა გადაწყვეტაში უნდა დაეხმაროს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო.

სერიოზული ამოცანები დასახა ქალაქის პარტიულ ორგანიზაციას საზღვაო ნავსადგურში ტვირთის ნაკადის გადიდებამ, რაც საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების შედეგია. ნავსადგურის მუშაკებმა ჩინებულად იმუშავეს მეცხრე ხუთწლედში. ილიჩოვსკელთა მეთოდით მუშაობისას მათ ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულეს სახელმწიფო დავალებები და მარტო 1975 წელს გემებს გადაჭარბებით გადაამუშავეს 180 ათასი ტონა ტვირთი.

მეათე ხუთწლედში ნავსადგურის მუშაკთა მიერ გაზრდილი პროგრამის შესრულება მოითხოვს ტვირთის მოღებისა და როგორც საზღვაო, ისე სხვა სახეობის ტრანსპორტით, უპირველესად, რკინიგზით მისი გაგზავნის საკითხთა კომპლექსურ გადაჭრას. ეს პირველ პლანზე აყენებს ფოთის ნავსადგურისა და რკინიგზის სადგურის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების საკითხს.

ქალაქის მშრომელთა შორის შემოქმედებითი ძალების ახალი მოზღვავება, დიდი ენთუზიაზმი მოჰყვა პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს. პარტიის მიერ მეათე ხუთწლედისათვის წამოყენებული დიადი გეგმების რეალურად, კონკრეტული საქმეებით ხორცშესხმა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა. პროექტის, ახალი ხუთწლედის გეგმების განხილვას მოაყვა ქალაქის მშრომელთა მნიშვნელოვანი წამოწყებები. ერთსულოვნად გაიზიარეს რა ბრეჟნევის ორორიგინალის ინიციატივა, გემთშემკეთებლებმა ვალდებულება იკისრეს, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების გზით 1976 წელს გამოუშვან 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, მიაღწიონ ნაკადურ-პოზიციური მეთოდის დანერგვას. სოციალისტ თევზჩირის გემების შეკეთებისა და პირველი წარდგენისთანავე მათი ჩაბარების-ვადების შემცირებას. გემთშემკეთებელთა ეს ინიციატივა გაიზიარა ქალაქის ყველა სამრეწველო საწარმომ. ახლა ფოთის შრომითი კოლექტივები იმისათვის იბრძვიან, რომ ხუთწლედის დამლეგისათვის 20 მილიონ მანეთამდე გაადიდონ საექსპორტო პროდუქციის გამოშვება, ელექტროტექნიკურ ქარხნებში 60 პროცენტამდე გაზარდონ ხარისხსანშნიანი პროდუქციის გამოშვება, ფოთელები, რომლებმაც ფართოდ გამალეს სოციალისტური შეჯიბრება, მეათე ხუთწლედის პირველ წელს ქვიყანას მისცემენ 2,5 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას. ქალაქის 7 ათასმა მშრომელმა ვალდებულება იკისრა ვადამდე დაამთავროს ხუთწლედი.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ რა ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, ეცდილობდით ყოველნაირად გაგვეთარებინა და გაგვემტკიცებინა იგი. ქალაქის პარტიული ორგანიზაცია, ფოთის საწარმოები სისტემატურად უწევენ დახმარებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, აძლევენ მათ მატერიალურ და ტექნიკურ საშუალებებს, ურემონტებენ მანქანებს, მოწყობილობას. ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა სოფლის მშრომელებს დაუმზადეს ჩაის საკრეფი ხელის მანქანის პირველი ნიმუშები, უსასყიდლოდ აუშენეს საკვების დასამზადებელი სამქრო.

ქალაქში ერთსულოვან ოჯახად შრომობენ 35 ეროვნების წარმომადგენლები. მშრომელთა ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობის გაძლიერება იყო და იქნება ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

პარტიის მიერ დასახული სოციალური და კულტურული განვითარების პროგრამა პარტიულ, სახელმწიფოებრივ მიდგომას მოითხოვს სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისადმი. ეს უნდა იგრძნობოდეს ყველგან და მუშაობის ყველა სფეროში. ამასთან დაკავშირებით ორატორმა გააკრიტიკა საქართველოს სსრ სამინაო კომეწნალური მეურნეობის მშენებლობის სამინისტროები, ცეკავშირის გამგეობა, „საქმთავარენერგო“.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ სერიოზული ხარვეზებისთვის დანაშაული ზნშვნელოვანწილად ეკისრება პარტიის საქალაქო კომიტეტს, რომელსაც ზოგჯერ პრინციპულობა და სიმტკიცე აკლდა საქირბოროტო ამოცანების გადაჭრაში.

მეათე ხუთწლედში მიღწეული წარმატებების შენარჩუნებასთან ერთად ჩვენი მთავარი ამოცანაა უფრო მეტი მასშტაბურობა მივანიჭოთ პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, მივაღწიოთ დისციპლინის განმტკიცებას ჩვენი მუშაობის ყველა რგოლში.

პარტიის საქალაქო კომიტეტისა და პოლიტიკური განათლების რაიონული სახლის მიერ ამს წინათ მოწყობილმა სოციოლოგიურმა კვლევამ ცხადყო, რომ ფოთელებს სწორად ესმით და მთლიანად უჭერენ მხარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამოქმედო პროგრამას. აღებული კურსის გაძლიერება და გაღრმავება ხალხის ნებაა, კომუნისტთა ნებაა, საარსებო იუკელობლობაა. სწორედ ამიტომ სწამთ მშრომელებს მისი გამარჯვება.

სსრ კავშირის 50-ე წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა თქვა, რომ ყველაზე საუკეთესო გეგმები ვერ შესრულდება, თუ ისინი, ვინც შრომობს, ამ საქმეს არ ჩააქსოვენ თავიანთი გულის, თავიანთი სულის ნაწილს.

ეგეგმებით რა მშობლიური პარტიის XXV ყრილობას, ქალაქ ფოთის კომუნისტებმა, ყველა მშრომელის სახელით აღვუთქვამთ საქართველოს კომპარტიის ყრილობას, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ძალღონეს და ენერგიას მოვახმართ კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეს, ჩვენი ქვეყნის სოციალური და კულტურული განვითარების დასახული პროგრამის განხორციელების საქმეს. (ტაში).

ამხ. ფ. ი. ქართველიშვილის სიტყვა

„თბილისკალაქმშენის“ № 15 ტრესტის მემონტაჟეთა ბრიგადირი

ამხანაგებო! დიდი სიამაყის გრძნობით გამოვდივართ აქ თბილისელ მშენებელთა სახელით. მოვიხმინე საანგარიშო მოხსენება და დიდი სახალხური მომანიჭა სამი წლის მიღწევებმა, ამასთან, ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

მე, როგორც მშენებელს, ძალიან მაწუხებს, რომ სწორედ ჩვენს დარგში ბევრია გადაუჭრელი პრობლემა. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ვერ შეეძელით აღმოგვეფხვრა მეცხრე ხუთწლედის პირველ წლებში დაშვებული მშენებლობის ჩამორჩენა. სწორად მოიქცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც მოგვაფორა ყველაზე მაღალი რანგის უპასუხისმგებლო ხელმძღვანელები.

უნებლიედ იბადება კითხვა: განა ყველაფერი გავაკეთეთ მშენებლობის დარგში წარსულის შეცდომების აღმოსაფხვრელად? სამწუხაროდ, არა. ჩემი აზრით, მთელი ჩვენი უბედურება ის არის, რომ სუსტია მშენებლობის ინდუსტრიული ბაზა, რომ თავის დროზე სწორად არ განესაზღვრეთ ჩვენი სამშენებლო ინდუსტრიის მომავალი. სამინაო მშენებლობის კომპლექსური უზრუნველყოფისათვის კომბინატების ნაცვლად ჩვენ ვვარჩიეს შეგვექმნა ცალკეული სახეობათა ნაწარმის სპეციალური საწარმოები. ლენინის რაიონის განაშენიანების ცენტრში დარჩა რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა, რომლის მუშაობა დამყარებულია მოძველებულ ტექნოლოგიაზე. მისი რეკონსტრუქცია წარმოებდა ნელადარი პროცესებით. ეგრეთწოდებული „სპეციალიზაციის სქემით“. თვეტიერად საწარმო თავისი სიმძლეავრით წინა წლების დონეზე დარჩა. დაბარაული უზარმაზარი თანხებით კი შეიძლებოდა ახალი თანამედროვე ქარხნის აშენება. ეს და ბევრი სხვა რამ ცხადყოფს სერიოზულ ნაკლოვანებებს ტექნიკურ პოლიტიკაში, რომელსაც რესპუბლიკის წინანდელი ხელმძღვანელობა ახორციელებდა.

ქვეყნის სხვა ქალაქებში უპირატესობა ენიჭება მსხვილპანელიან სახლებს, რომლებიც შენდება სწრაფად, თანაც ხარისხიანად და უფრო იაფი ჯდება. ჩვენთან კი ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ერთადერთი ქარხანა — მომწოდებელი, რომელსაც მოძველებული ტექნოლოგიური მოწყობილობა აქვს, ვერ აკმაყოფილებს მშენებლობების მოთხოვნილებას ნაწარმზე და კონსტრუქციებზე საკვირაო-სადღეღამისო გრაფიკის მიხედვით, ხოლო მისი პროდუქცია დაბალი ხარისხისაა და მთლიანად არ არის დამთავრებული. ამიტომ გვიხდება სამშენებლო ნოდენებზე ჩვენთვის უჩვეულო საქმის შესრულება, — ვიცვლით მემონტაჟეების პროფესიას და გწმენდთ ჩასატანებელ დეტალებს, ვაცილებთ ზედმეტ ბეტონს და ვასწორებთ ნაწარმის სხვა ხარვეზებს, რომელიც დაუშვა დამამზადებელმა ქარხანამ.

ვითარება რთულდება მშენებლობის დაგეგმვაში არსებული ნაკლოვანებებით. სრულიად შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ 1975 წლის მაძიებლზე ჩვენ არ გვქონდა მტკიცედ დადგენილი გეგმა. ხშირად იცვლებოდა საგეგმო დაალებები. იქმნებოდა იერიშობანა, ზედმეტი ნერვიულობა მუშაობაში, რასაც არ შეიძლებოდა ზეგავლენა არ მოეხდინა ხარისხზე. რა თქმა უნდა, ეს ცუდია, მაგრამ უარესია ის, რომ ყოველივე აქედან ვერ კიდევ ვერ გაკეთოს სათანადო დასკვნები. და ამიტომ არის, რომ დღეისათვისაც არ არის დამტკიცებული ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 1976 წლის გეგმის საბოლოო ვარიანტი.

მშენებლობის პრაქტიკაში ძალზე ხელა ინერგება შრომის მოწინავე ფორმები და მეთოდები. გასაოცარია, რომ მშენებლობის პროგრესული მეთოდები, „თვლებიდან მონტაჟი“, მხოლოდ ერთი სართულის ჩამორჩენით მშენებლობის მომარაგებისა და კომპლექტაციის კონტეინერიზებული მეთოდი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ქვეყნის მშენებლობებზე, ჩვენთან ვერ გამოიყენეს.

დღევანდელობის აქტუალურ საკითხად კვლავ რჩება მშენებლობაში ბრიგადული იჯარის ფართო განვითარება. განველილ ხუთწლედში ზლობინის მეთოდი სათანადოდ არ გავრცელდა ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციებში.

მშენებლობებზე ჯერ კიდევ დაბალია წარმოების კულტურა, დამამაყოფილებელი არ არის მშენებელი მუშების სანიაო-საყოფაცხოვრებო პირობები, არ არის გადაჭრილი ობიექტებზე ცხელი კერძის ბატანის პრობლემა. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ გამიგონია, რომ ოთის დროს უფრო ადვილად მიჰქონდათ წინა ხაზზე ცხელი კერძი, ვიდრე ჩვენთან მშენებლობებზე.

განსაკუთრებული წსჯელობის საგანი უნდა, გასწეს მომჭირნეობის რეჟიმის კანონტროლის საკითხი. მშენებლობაზე დასაზოგი ბევრი რამ არის. რეზერვების ძიებას არ სჭირდება დიდ დროის დახარჯვა — საკმარისია გაიაროთ ქალაქის მშენებლობებზე, რათა უბრალ ნახო განაკვეთები და უყურეთობის შემთხვევები.

დღეგანდელობის გამოსულისათვის რომ ვემზადებოდი, კიდევ ერთხელ გადავხედე მეცხრე ხუთწლედისათვის სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებს. ამ დირექტივებში ამოცანად იყო დასახული გადაესულიყავით გაუმჯობესებული დაგეგმარების, უფრო კამეკეფილი არქიტექტურის მქონე სახლების მშენებლობაზე.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო: ჩვენთვის, მშენებლებისათვის, განველილი ხუთწლედის ძირითადი შედეგი, მაინც ის იყო, რომ ვისწავლეთ შეეფი შენება. ეს იმედს გვაძლევს, რომ მეათე ხუთწლედში უკეთეს მაჩვენებლებს მივაღწევთ.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, მშენებელთა მრავალრიცხოვანი არმიის სახელით მადლობა გადავუხადო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჩვენთვის ზრუნვის გამო, ნაკლოვანებების წინააღმდეგ პრინციპული ბრძოლისათვის. ჩვენი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა პარტიის გეგმები წარმატებით ვაკრეთოთ რეალურ სინამდვილად. (ტაში).

ამხ. ა. თ. ბეგიაშვილის სიტყვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე

სური კვლევები, რომლებიც დაკვეხილნერთოდა ყოველმხრივ შეგვეწყვალა ჩვენი ადამიანების სულიერი სამყარო, ყოფა-ცხოვრება. სუსტად სწავლობენ ახლანდელ იმ ძერებს, რომელიც უკანასკნელ წლებში მოხდა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა შეგნებაში. ცვლილებებს იმ ღირებულებათა სისტემაში, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ისინი ყოველ-ბლიერ ცხოვრებაში. ასეთი კვლევა მოითხოვს ფილოსოფოსთა, ფსიქოლოგთა, სოციოლოგთა, ეკონომისტთა და სხვათა მუშაობის კოორდინაციას.

უნდა ვალიაროთ, რომ კოორდინაცია ჩვენი მუშაობის ყველაზე სუსტი რგოლია. რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები, ისინი კი დაახლოებით სამეცნ., შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებები ცალ-ცალკე, შესაბამისი კონტაქტების გარეშე მუშაობენ, უფრო ზზრილი არაფერი იციან იმ მუშაობაზე, რომელსაც ვეზობლები ეწევიან. კომუნისტური პარტია თავის სტრატეგიისა და ტაქტიკას მეცნიერულ საფუძველზე ამყარებს. სოციალისტური საზოგადოების განვითარების ხელმძღვანელობის ჩვენ ინერგულ საფუძველს კი საზოგადოებრივი მეცნიერება შეადგენს, ეს უნდა გასახლერავდეს ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერებისადმი წაყენებულ მოთხოვნილებ, და ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს.

პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები“ — აღნიშნულია, რომ საჭიროა განვითარებული სოციალიზმის პრობლემათა კვლევა, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების თეორიის შემდგომი დამუშავება, სოციალისტური ცხოვრების წესების განვითარება. ყველა ეს კვლევა მოითხოვს საზოგადოებრივი მეცნიერებათა მუშაობის გაერთიანებულ 'მეცადინეობას.

უნდა ითქვას, რომ მეცნიერებს განვითარების ახალი ტენდენციები ახალ ამოცანებს უყენებს ინფორმაციის სამსახურს. იმის გამო, რომ რესპუბლიკის სულ უფრო მეტი მეცნიერული კოლექტივები ამუშავებენ დიდ კომპლექსურ თემებს, ამასთან თავიანთ ძალებს აერთიანებენ ერთი-ორი დიდი პრობლემის ირგშემო. ინფორმაციის მუშაობა მუშაობის სამმაგის ცენტრში უნდა გადაინაცვლოს — ისინი უნდა იძლეოდნენ ინფორმაციებს არა მარტო წიგნებზე და ცალკეული ავტორების სტატიებზე, არამედ სამეცნიერო კოლექტივების საქმიანობაზე და იმ პრობლემაზე, რომლებიც მათ აერთიანებენ. ამასთან საჭიროა, რომ ინფორმაცია მოგვაწოდოდეს არა მარტო გამოქვეყნებულ ნაშრომებზე, არამედ უწინარეს ყოვლისა, იმ გეგმებზე, რომლებიც დასახეს ოდმა სამეცნიერო კოლექტივებმა.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში მუშაობს სამი ათასამდე მეცნიერი მუშაკი. მათგან 250-ზე მეტი დოქტორია და 1110-ზე მეტი — მეცნიერებათა კანდიდატი. ეს დიდი ძალაა, მეცნიერთა დიდი რაზმია, და ამ მეცნიერთა საქმიანობის კოორდინაციი ფარგმოდგენელია ჯარგად ორგანიზებული ინფორმაციის სამსახურის გარეშე.

ჩვენს თვალწინ განხორციელდა დიდი მუშაობა ბევრი მახალი მოცულობის ლიმოსფეტერულად, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. მთელი ეს უზარმაზარი გამაკანსაღლებელი მუშაობა მხოლოდ მაშინ დამთავრდება წარმატებით, თუ მასთან ერთად ისეთივე გადამწყვეტი ძალები მოხდება ადამიანების შეგნებაში. საამაყოა უნდა გამოვიტანოთ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ჩვენთვის მიუღებელი ბევრი მცნება და წარმოდგენა, რომლებმაც ფეხი მოიკიდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროში — შრომაში, სოციალისტური საკუთრებისადმი დამოკიდებულების სფეროში და სხვ.

